ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2609710

ნომერი: AR1401449

თარიღი : 03.05.2016

გაცემის თარიღი : 23.05.2016

გაცნობის თარიღი : 25.05.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გროზნო , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ რურუა პ/ნ 01030020430
- თბილისი გროზნოს ქ. N 13

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 03 მაისს №AR1401449 განცხადებით მომართა მერაბ რურუამ და ამავე სამსახურის 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გროზნოს ქუჩა №12-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.16.03.050.016) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებელის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომაა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 203.6 დაფიქსირებულია შეცდომით და აღნიშნული ფართი წარმოადგენს ავტოსადგომის ფართობის ნაწილს.
წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანებიდან ამოღებულ იქნეს სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 203.6, ხოლო ავტოსადგომის ფართობი ნაცვლად 32.7 კვ.მ-ისა დაფიქსირდეს 236.3 კვ.მ.
სამსახურმა 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანებით შეთანხმებული არიქტექტურული პროექტის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლია და შეესაბამება შეთანხმებულ არიქტექტურულ პროექტის.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:236.3, ხოლო ჩანაწერი: „სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 203.6“ ამოღებულ იქნეს. სამსახურის 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 19 თებერვლის №2444261 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.